

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179
	პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., N1 N11
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07 chancellery@tsu.ge
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რექტორი: შარვაშიძე გიორგი, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ჭკუასელი ქეთევანი, 593331218 ketevan.chkuaseli@tsu.ge ბაქანიძე ქეთევანი 577501300 qet.baqanidze@tsu.ge

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ბიოლოგია; გეოგრაფია; ისტორია; მათემატიკა; სამოქალაქო განათლება; ფიზიკა; ქართული ენა, ლიტერატურა; ქიმიკა; გერმანული ენა; ინგლისური ენა; რუსული ენა; ფრანგული ენა.
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	N9, 17.03.2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	80
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60 კრედიტი
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართის სახით

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	10	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	ანალიტიკური წერა	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	10	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	ანალიტიკური წერა	
3	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	10	ისტორია	ანალიტიკური წერა	
4	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	გეოგრაფია	ანალიტიკური წერა	

5	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	7	2250	7	სამოქალაქო განათლება	ანალიტიკური წერა
6	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
7	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	4	2250	4	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
8	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
9	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2250	15	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
10	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
11	ფრანგული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა
12	რუსული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური წერა

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი



ხელმოწერა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ანოტაცია

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის /და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის / კომპეტენციის მქონე პედაგოგების მომზადება, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის სპეციალისტის აღჭურვა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეძლოს საგნობრივ ცოდნასთან მისი ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

პროგრამა ამზადებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საგნების და საგანთა ჯგუფების შესაბამის მასწავლებლებს მე-7- მე-12 კლასის ბაზაზე. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის (საბაზო და საშუალო საფეხური), მათემატიკის (საბაზო და საშუალო საფეხური), ისტორიის (საბაზო და საშუალო საფეხური), გეოგრაფიის (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლების (საბაზო და საშუალო საფეხური), ფიზიკის (საბაზო და საშუალო საფეხური), ქიმიის (საბაზო და საშუალო საფეხური), ბიოლოგიის (საბაზო და საშუალო საფეხური), ინგლისური ენის (საბაზო და საშუალო საფეხური), გერმანული ენის (საბაზო და საშუალო საფეხური), ფრანგული ენის (საბაზო და საშუალო საფეხური), რუსული ენის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებს.

პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან.

პროგრამა გაწერილია ორ სემესტრად. ვინაიდან პროგრამა ზრდასრულებისთვისაა გათვალისწინებული, შესაძლებელია, მსმენელთა აზრის გათვალისწინებით, კურსების დაჩქარებული /კონცენტრირებული წესით გავლა, რაც გულისხმობს სემესტრის ორ ეტაპად წარმოდგენას, საგანთა განაწილებას პირველი და მეორე ეტაპების მიხედვით, საათების გაორმაგებული რაოდენობით. პედაგოგიური პრაქტიკა მოიაზრება მეორე სემესტრში.

პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული 60 კრედიტის მოგროვების საფუძველზე, გაიცემა მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროგრამაზე მიღება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით;

პროგრამის სწავლის შედეგებია

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა იცოდეს:

პედაგოგიკურ / ფსიქოლოგიური დისციპლინები - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი:

- პედაგოგიკის ძირითადი ცნებები - აღზრდა, განათლება, სწავლება,
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები,
- პიროვნების ფორმირების ფაქტორები,
- აღზრდის მიზანი და ამოცანები,
- განათლების სისტემის რაობა და მისი სამართლებრივი საფუძვლები,
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,
- დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური პრინციპები,
- სწავლების მეთოდები,
- განათლებისთანამედროვე ტექნოლოგიები,
- შეფასების სახეები და მეთოდები,
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების დაცვის საკითხები,
- მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურები,
- განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები,
- კლასის მართვის თეორიული საფუძვლები,
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები,
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმები,
- მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კონკრეტულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება,

- აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა,
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა,
- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა,
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება,
- კლასის ეფექტური მართვა,
- გაკვეთილის ეტაპების მართვა,
- სწავლება / სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება,
- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან,
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა,
- ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა,
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა,
- სასწავლო რესურსების გამოყენების უნარი,
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.

3. დასკვნის უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება,
- საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი,
- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრის, ანალიზისა და გადაწყვეტის გზების დასახვის უნარი,

4. კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია,
- ქართულ და უცხო ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია,
- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება,
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება,
- კულტურათაშორისი დიალოგი.

5. სწავლის უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი,
- საკუთარი პროფესიული საქიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საქიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი.

6. ღირებულებები:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

პროგრამის გავლა მსმენელს გაუფართოებს მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს აღნიშნულ სფეროში და დაეხმარება მას შეიძინოს სწავლება/სწავლის პროცესისათვის ისეთი არსებითი ზნეობრივი ღირებულებები, როგორებიცაა:

- მოსწავლის პიროვნების პატივისცემა,
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა,
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება,
- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა,
- პროფესიული ეთიკური ღირებულებები,
- თანამშრომლობითი უნარები,
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია,
- მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგები მიიღწევა:

კონკრეტული სასწავლო დისციპლინების შესწავლის პროცესში სწავლების - ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და საგნებზე უშუალო- დაკვირვებითი მეთოდების გამოყენებით;

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - ჯგუფური მუშაობა, პროექტით სწავლება, პრობლემური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

შეფასების სხვადასხვაგვარი მეთოდისა და სახეების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციის საფუძველზე თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100-ქულიანი სისტემით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

პროგრამის ხელმძღვანელი : ქეთევან ჭკუასელი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, ტელ: 593 33 12 18, 2 22 23 76, ელ-ფოსტა ketevan.chkuaseli@tsu.ge

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (7-12 კლასები) შესაბამისი საგნის მასწავლებელი.